

რთულფუძიანი ტოპონიმები ლაზურში

ცნობილია, რომ ტოპონიმი ყველაზე ძველი, კონსერვატული ელემენტია ენისა, თანაც რეგიონისთვის, ეთნოსისთვის, ისტორიული რეალიისთვის განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია.

ლაზური ტოპონიმის განსაკუთრებულ სპექტრს ქმნის ქართველურ ონომასტიკონში, ამიტომაც ლაზეთის „მიწისზედა არქეოლოგიის“ – გეოგრაფიული სახელების შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ბევრმა ლაზურმა ტოპონიმმა სახე იცვალა, გაუჩნდა პარალელური თურქული ფორმა, გაჩნდა ფონეტიკური თუ ლექსიკური სინონიმები, ამის გამოც საჭიროა ჯერ კიდევ არსებული, ან მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილი სახელების აღნუსხვა.

ამჟამად ჩვენი კვლევა ითვალისწინებს თხზული ტოპონიმების ანალიზს. შევნიშნავთ, რომ სინტაქსური კონვერსიის შედეგად მიღებულ გეოგრაფიულ სახელებს სოლიდური ადგილი უჭირავთ ლაზურ ტოპონიმიაში.

უცხოენოვანმა (თურქულისა და ნაწილობრივ ბერძნულის) გავლენამ თავისი კვალი დაატყო ლაზურ ტოპონიმებს, თითქმის ყველა სახელს გაუჩნდა თურქული სინონიმი, გარდა ამისა, საკუთრივ ლაზურ ფორმებში შევიდა მსაზღვრელის თუ საზღვრულის ფუნქციით და შექმნა ჰიბრიდული ტოპონიმები.

ლაზური რთულფუძიანი ტოპონიმები ქართველური მოდელის მსგავსად ორი ტიპით არის წარმოდგენილი, გვაქვს ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი სახელები.

ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელად გამოიყენება ზედსართავი სახელები:

დიდი: **დიდიგოლა** // **დიდინგოლა** ალპური სამოვარი ღვანდში, ვიჯე; **დიდირუბა** „დიდი ხევი“, მდინარე ღვანდში, ვიჯე, შდრ. **დიდრუბუ** „დიდხევი“, ხევი ლეჭიჭალეში [9, 20]; **დიდიქვა** ადგილი ჭუქალვათში, არქაბე; **დობრადიდი** „კარგი მიწა დიდი“, უბანი ბუჩაში, ხოფა; **ღალდიდი** „ღელე დიდი“, ღელე ჭურჭავაში, ვიწე...

ჭიტა „პატარა“: **ჭიტა ოჯალი** „პატარა კერია“, ადგილი მაჯგინის სამხრეთით, მოლენი სარფი, [5, 39]; **ჭიტა ბუჯალი** უბანი ბუჯალში, ხოფა [5, 61]; **ჭიტა ღალი** „პატარა ღელე“, ღელე ორთახოფაში, ხოფა [5, 62]; **ჭიტა დუზი** ადგილი ლიმანში, ხოფა; **ჭიტა მაკრიალი** // **ჭიტა ნოლელი** სოფელი ხოფაში.

ქე // **ხჩე** „თეთრი“ [3, 235]: **თოლიქეთი** „თვალთეთრი“, სოფელი ართაშენში; **ქვაქე** „ქვათეთრი“, ადგილი აბუულიაში, ვიწე; **წარიქე** „წყალთეთრი“, მდინარე დუთხაში, ართაშენი; **ჯახჩე** „ხე თეთრი“, ტყე აზლალაში, ხოფა, [5, 55].

უჩა „შავი“ [3, 193]: **უჩადალი** „შავი მთა“, მთა ფილარგეთში, არქაბე; **ქვაუჩა** ადგილი მამაკივათში, ათინა; **ღალიუჩა** „ღელე შავი“, მდინარე მოცხორაში, ვიწე; **ჭეჭაუჩა** ადგილი თიმისვათში, ართაშენი.

ჯგირი „კარგი“ [3, 236]: **ჯგირიოლასირთი** „კარგი გზის სერი“, დიდი სერი მელენი სარფის სამხრეთით, [5, 44]; **ჯგიროლა** „კარგი გზა“, ადგილი სუმჯუმაში, ხოფა; **ჯგირიაზენი** „კარგი ვაკე“, სოფელი არქაბეში, [5, 76]...

ვინბე / **გუნბე** „გრძელი“ [3, 135]: **ლორიგინბე** ადგილი ჭიტა ბუჯალსა და ორთახოფას შუა, ხოფა [5, 62]; **ნორიგუნბე** ადგილი თიმისვათში, ართაშენი; **ნუკუგუნბე** ადგილი თორდოვათში, ათინა.

ერთ შემთხვევაში გვაქვს მსაზღვრელად **აღანი** „ახალი“: **აღანი ლევადი** „ახალი ბაღი“, ადგილი მეკალესქირითში, ათინა.

მსაზღვრელად რიცხვითი სახელი მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში გვაქვს: **ჟურხინჯი** „ორხიდი“, სოფელი ბორჩხაში; **სუმჯუმა** „სამი ძმა“, სოფელი ხოფაში [5, 45]. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ორივეს თურქული სახელი ჰქვია, რომელიც ლაზურის კალკირებითაა მიღებული.

ჟურხინჯი, რომლის ლაზური სინონიმი არის **წკარყა** (წკარი „წყალი“, ყა „ტოტი“, ანუ „წყლის ტოტი“), გადმოცემულია თურქული კომპოზიტით **ჩიჭეთეჭფრუ** და „წყვილ ხიდს“ ნიშნავს: **çifte** „წყვილი“, **köprü** „ხიდი“ [2, 117, 363]. **სუმჯუმა** ახლანდელი **ჭჩქარდემ**-ია – **üç** „სამი“, **kardaş** // **kardeş** „ძმა“ [2, 643, 317].

ხოფაში მდებარეობს კიდევ ერთი სოფელი, რომლის სახელწოდებაშიც გვხვდება რიცხვითი სახელი: **ჟურპიჯი** „ორპირი“ [5, 56], შდრ. **ჟირპიჯი** სოფელი ერისწყლის სათავესთან, ახლანდელი **ჟირღალიშქა** [7, 143].

იშვიათად მსაზღვრელის ფუნქციით გვხვდება არსებითი სახელი: **თოლოქრო** უბანი ორთახოფაში, „თვალოქრო“; **ინიწარი** მდინარე პაპილათში, ათინა, „ყინულწყალი“, შდრ. **ცინწყარი** მდ. ალენის შენაკადი, სამურზაყანო [7, 192]...

კომპოზიტური ტოპონიმების წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობს ზმნისართი:

თუდე / **თუდენი** „ქვემოთ, ქვეშ, დაბლა“ [6, 53]: **თუდე ლივადი** „ქვედა ბაღი“, ადგილი მეკალესქირითში; **თუდენ ავლა** „დაბლა ეზო“, ადგილი ჭურჭავაში, ვიწე; **თუდენი ბულეფი** „დაბლა ბლები“, უბანი ათინაში; **თუდენი ჩოი** „ქვედა ჭაობი“, უბანი შანგულში, ართაშენი.

ჟინი / **ჟილენი** „ზედა, ზემოთა“ [3, 180]: **ჟინ ფილარგეთი** უბანი ფილარგეთში, არქაბე; **ჯინი ონა** „ზედა ყანა“, საყანე ადგილი ანივათში, ართაშენი; **ჯინი რაკანი** „ზემოთა გორაკი“, გორაკი შანგულში, ართაშენი; **ჟილენი გურუფითი** უბანი გურუფითში, ვიწე; **ჟილენ ოფუტე** უბანი მოცხორაში, ვიწე...

მელე / მელენი „გაღმა, გაღმელი“ [3, 166]: **მელენი ბურუნი** „გაღმა კონცხი“ (**burun** „კონცხი“ [2, 90], ადგილი მოლენ სარფში; **მელესქური** სოფელი ათინაში; **მელე ლივადი** „გაღმა ბადი“, ადგილი წალენ ძღემში, ართაშენი.

წალე / წალენი „ქვევითა“ [3, 217]: **წალე ლივადი** ადგილი თიმისვათში, ართაშენი; **წალემჯორე** „ქვევითა მზიანი ადგილი“, ადგილი ღვანდში, ვიჯე; **წალენი ნგოლა** ალპური საძოვარი ღვანდში, ვიჯე; **წალენი ძღემი** სოფელი ართაშენში; **წალენ ოფუტე** უბანი მოცხორაში, ვიწე; **წალენღალი** მდინარე ტრევენდში.

ლაზურ თხზულ ტოპონიმებში აპელატივებად გამოყენებულია:

ჰიდრონიმები:

წკარი / წარი „წყალი“ [3, 217, 220]: **აბანოშ წკარი** მდინარე მოლენ სარფში; **პოტრაწკარი** მდინარე მარკიალში, ხოფა; **ომერიშ წკარი** მდინარე გურუფითში, ვიწე; **ბოდაწარი** მდინარე პაპილათში, ათინა; **ლივაწარი** მდინარე ფელერგივათში, ართაშენი...

ღალი „ღელე“: **აზოთიშღალი** ღელე კვარიათში, გონიო; **ბურთაშღალი** ღელე მხიგში, ხოფა; **ომურღალი** მდინარე ფილარგეთში, არქაბე; **ქარმატეღალი** ღელე ხარაში, ვიწე; **ხემშილულღალი** მდინარე მოლენ სარფში...

რუბა / ორუბა „ხეობა“ [3, 177]: **მანდრერუბა** ადგილის სახელწოდება, დუთხაში, ართაშენი; **მშქეროფინარუბა** მდინარე მეთისთში, ართაშენი; **ომოტერუბა** მდინარე ღვანდში, ვიჯე; **ხაკურუბა** მდინარე ხაკუში, ათინა; **ღუმურუბა** მდინარე პაპილათში, ათინა;...

დერე თ. **dere** „ხეობა“ [2, 139]: **კამილეთურ დერე** მდინარე კამპარნაში, არქაბე; **ნაფშითი-დერე / ღალი** ღელე ნაფშითში [5, 71]; **ბუიუკ-დერე** მდინარე ფურტუნას მარცხენა შენაკადი, ართაშენი [5, 103];

ჭამბეთ-დერესი მდინარე ფიცხალა-წყარის მარცხენა შენაკადი, ვიწე [5, 89]...

ტობა „ტბა“ [6, 82]: **მჯვებუტობა** „ბაყაყის ტბა“, ღვანდი, ვიჯე; **პატიშ ტობა** „პატის ტბა“, პანჭოლი, ართაშენი; **სენდული ტობა** ღვანდი, ვიჯე...

ფოლარი / ფულარი „წყარო“: **ჩავუში ფულარი** მდინარე და სამოვარი ღვანდში, ვიჯე...

ორონიმები:

დალი თ. **dağ** „მთა“ [2, 127]: **დიდი დალი** მთა თიმისვათში, არტაშენი; **კადოლლი დალი** მთა კორდელითში, არქაბე; **ჩერემითხაშ დალი** მთა არანაშში, ათინა; **ჭუბურდი დალი** მთა ფელერგივათში, ართაშენი...

რაკანი „გორაკი“ [3, 181]: **დეფანირაკანი** გორაკი დუთხაში, ართაშენი; **მოლონარაკანი** გორაკი და სამოვარი ღვანდში, ვიჯე; **ომჟორერაკანი / ომჯორერაკანი** გორაკი დუთხაში, ართაშენი; **ცარაკანი** გორაკი პაპილათში, ათინა...

სირთი თ. **sirt** „მთაგრეხილი, უღელტეხილი“ [2, 543] > ლაზ. „სერი“: **დაღლისირთი** „ტყიანი სერი“, ფერდობი [5, 34]; **ქილისესირთი** „ეკლესიის სერი“, ფუჯონჯერეს ზემოთ [5, 39]; **ტაღანი სირთი** ადგილი ფელერგივათში, ართაშენი...

თეფე (თ) „მთა, გორა“ [3, 146]: **ბალტაშ-თეფე** მთა ბუიუკ-დერეს მარცხენა სანაპიროზე [5, 106]; **ჯევიზდიბიშთეფე** „კაკლისძირის ბორცვი“, ბორცვი ჯევიზდიბთან [5, 43]; **აფგიუნზადა-თაფასი** მთა გურუფითის სამხრეთით, ვიწე [5, 89]...

გოლა / ნგოლა „გორა“. ეს ტერმინი ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში ალპური სამოვრის აღსანიშნავად გამოიყენება: **დერენგოლა**

წალენი ძღემი, ართაშენი; ჯილენი გოლა ღვანდი, ვიჯე; წალენი ნგოლა ღვანდი, ვიჯე...

ზენი „ვაკე“ [3, 145]: **ბაინოღლი ზენი** ადგილი წალენ ძღემში, ართაშენი; **ყომურზენი** ადგილი აზლადამი, ხოფა; **ხოჯაზენი** ადგილი მეღიათში, ათინა; **ჯუნდური ზენი** ადგილი მამაკივათში, ათინა...

სკური / სქური „ხევი“ [4, 207]: **ვასკილისკური** ადგილი თოლიქჩეთში, არტაშენი; **ჯელასკური** უბანი დუთხაში, არტაშენი; **დუდუსქური** ადგილი გურუფითში, ვიწე; **მეტასქური** ალპური სამოვარი მზულუში, ვიწე...

ააღლა / იაილა თ. *yayla* „იალადი, სამოვარი“ [2, 669]: **ონზოლე-იაილა** სამოვარი კაშკარზე [5, 113]; **იაილა-დადი** მთა ვიწეში, „იალადის მთა“ [5, 81]; **იაილა-მოლენი** სარფის საზაფხულო სამოვარი, „იალადი გამოდმა“ [5, 42]...

ჩოი თ. *çöl* „უდაბნო, სტეპი“ [2, 125] > ლაზ. „ჭაობი“: **ბეთი ჩოი** უბანი თიმისვათში, არტაშენი; **თუდენი ჩოი** უბანი ღვანდში, ვიჯე; **ჯინი ჩოი** უბანი შანგულში, არტაშენი...

დუზი თ. *düz* „მინდორი, ველი“ [2, 161]: **არხავე-დუზი** არქაბეს ველობი [5, 70]; **სუჯონდუზი** „სუროს ველი“, ადგილი ტრევენდში, ვიწე; **ჭიტა დუზი** ადგილი ლიმანში, ხოფა...

დიხა „მიწა“ [3, 139]: **ალისქირდიხა** ღვანდი, ვიჯე; **პაპადიხა** მოცხორა, ვიწე; **ქვამანდიხა** „ქვიანი მიწა“, ფიცხალაულია, ვიწე; **ჭორჭოვა დიხა** „ჭაობიანი მიწა“, მწანუ, ვიწე;

გემთუმანი / გომთუმანი „დაღმართი“ [3, 134]: **ავლაშ გომთუმანი** „ეზოს დაღმართი“, ადგილი ღვანდში, ვიჯე; **ოხორიშ გომთუმანი** „სახლის დაღმართი“, ადგილი ღავრაში, ვიწე...

სამეურნეო დანიშნულებების ადგილთა სახელები:

ონა / ყონა „ყანა“ [3, 203]: **ორთაონა** მელიათი, ათინა, „შუა ყანა“ თ. **orta** „შუა“ [2, 465]; **ქოსემ ონა** ცათი, ვიწე, „ქოსას ყანა“; **დემირალიშ ყონა** სუმჯუმა, ხოფა; **ჩეზოლიშ ყონა** მაკრიალი, ხოფა; **კაკლისყონა** მოლენი სარფი (შდრ. ხოფურში დაცულია ყ თანხმოვანი)...

ლევადი / ლივადი თ. **ლივარ** „ბალი“ [2, 384]: **ჯინი ლევადი** ოკორდულე, ართაშენი, **ბაილივადი** არანაში, ათინა, **კარალივადი** წალენი ძღემი, ართაშენი...

ავლა / ავლია (ბერძ.) „ეზო“ [3, 126]: **ბაზულიშ ავლა** ღავრა, ვიწე; **ჭოჭონა ავლა** „ჭაობიანი ეზო“, პაპილათი, ათინა; **პალა ავლია** თორდოვათი, ათინა; **ხუსე ავლია** თორდოვათი, ათინა...

ცალკეული ობიექტების სახელები:

ქარმატე / მსქიბუ „წისქვილი“ [3, 169]: **ქესეშქარმატე** უჩირმალი, არქაბე; **მსქიბუკალა** მოლენი სარფი [5, 40]...

მანდრე (ბერძ.) „ბოსელი, საქონლის სადგომი“ [3, 165]: **ბაკამანდრე** მდინარე და ადგილი, მუტაფი, არტაშენი, **ბუნამანდრე** შანგული, არტაშენი...

ფაცხა „ფაცხა“ [3, 193]: **მაღალოლიშ ფაცხა** მოლენი სარფი; **ტაქინაფაცხა** ღვანდი, ვიჯე...

ოხვამე „სალოცავი, ეკლესია“ [3, 230]: **ბურბუმოხვამე** „ღამურას სალოცავი“, აზლადა, ხოფა...

უზნის აღსანიშნავად ხშირად გვხვდება **ოფუტე** „სოფელი, უბანი“: **ოჭინახუშოფუტე** „საწნახლის უბანი“, მელენი სარფი, ხოფა; **ტრონი ოფუტე** „ტახტის უბანი“, ხანდუზი, ბორჩხა, **ხალბაშოფუტე / ხარბაშოფუტე** მაისკოფუტე, ხოფა...

ადგილის განაპირა მხარის აღსანიშნავად აქტიურად გამოიყენება **კუდელი** „კუდი“ [3, 158]: **ლივადი კუდელი** „ბადის ბოლო“, დუთხა, არტაშენი; ლამლო, ათინა; **მერზე კუდელი** „ყანის ბოლო“, თ. **mezraa** „ყანა“ [2, 413], სამოვარი მუტაფში, არტაშენი; **ომჟორემკუდელი** გურუფითი, ვიწე... შდრ. **სათანჯომ კუდელი** სათანჯოს სერის დაბოლოება, სამურზაყანო [7, 155], **გოჭოფილიშ კუდელი** ვაკე ხურჩის მარცხენა სანაპიროზე, წალენჯიხა [8, 28]...

იმავე მნიშვნელობისაა **პიჯი** „პირი“ [3, 179]: **ბალუპიჯი** ხანდუზი, ბორჩხა, „ბელლის პირი“, **ხამიპიჯი** სამოვარი ღვანდში, ვიჯე; **ხინჯიპიჯი** უბანი თიმისვათში, არტაშენი, გვხვდება ჰიდრონიმებში: **აბჟაპიჯი** მდინარე პალივათში, ართაშენი, **რუბაპიჯი** მდინარე მამაკივათში, ათინა; **წარიპიჯი** მდინარე მამაკივათში, ათინა...

მართულმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელად გამოყენებულია როგორც საზოგადო, ასე საკუთარი სახელები. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხან შენარჩუნებულია, ხანაც – დაკარგული.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: **ბადიშყონა** „ბერიკაცის ყანა“, ადგილი ლიმანში, ხოფა; **ბარდიშლალი** „გვიმრის, ბარდის ღელე“, ღელე მოლენ სარფში; **ბურბუმქვა** „ღამურას ქვა“, ადგილი მოცხორაში, ვიწე, **გაჩაშ ონა** ადგილი ლიმანში, ხოფა; **ზულაპიჯიშ დუზი** „ზღვისპირის მინდორი“, საყანეები ორთახოფაში, [5, 62]...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: **ბარდიდუზი** ადგილი ფილარგეთში, არქაბე; **ვიწე-წკარი** მდინარე, დასავლეთით ჩამოუდის ვიწეს [5, 85]; **რუბაპიჯი** მდინარე მამაკივათში, ათინა; **ლანგონეფე ავლა** „ძაღლების ეზო“, უბანი წალენ ძღემში, ართაშენი; **მაკრიალ-წკარი** მდინარე დიდ მაკრიალში [5, 48]; **ჭინკალალ** ღელე ჩხალაში, ბორჩხა...

გვხვდება ისეთი მიკროტოპონიმიც, რომელიც ორივენაირადაა წარმოდგენილი: ბრუნვის ნიშანი ხან შენარჩუნებულია, ხანაც მოკვეცილი: **დუზი / დუზიშ ოფუტე** მოლენი სარფი [5, 40]; **ტოპი ონა** ომჯორე, ართაშენი / **ტოპიშ ონა** ფილარგეთი, არქაბე „ტოპის ყანა“; **ჩეჩეცონა / ჩეშ ონა** ოკორდულე, ართაშენი...

მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზურში ხშირად იკვეცება ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი კომპოზიტიური შედგენილობის ისეთ მიკროტოპონიმებში, რომელთა ერთი კომპონენტი ანთროპონიმია (მეგრულში უმეტესწილად შენარჩუნებულია): **ბაინოლლიზენი** ადგილი წალენ ძღემში, ართაშენი; **მემიში ხასანი ონა** ადგილი ომჯორეში, ართაშენი; **კაბოდლი ავლა** უბანი მამაკივათში, ათინა; **კადოლლიდალი** მთა კორდელითში, არქაბე...

ლაზური ტოპონიმური მასალა გვიჩვენებს, რომ მისთვის უცხო არაა პოსტპოზიციური წყობა: **ბალუდიდი** „ბელელიდიდი“, ფილარგეთი, არქაბე; **ზენიდიდი** „ვაკედიდი“, ათინა; **ააილამოლენი** მოლენი სარფი, „იალადიგამოდმა“; **მცხულიხომბულა** „მსხალიგამხმარი“, ტალვათი, ათინა; შდრ. **ცომურხუმლა** ფერდობი, რეჩხი, სამურზაყანო” [7, 192]; **სკუროხომბულა** შანგული, ართაშენი, „ხევი გამშრალი“, შდრ. **სუხუმლა** < **სქურხუმლა** ინწირის მარცხენა შენაკადი, წალენჯიხა [8, 158]; **ქვაჭალანა / ქვაჯახანა** მოლენი სარფი, „ქვაკიბორჩხალა“...

ცალკე გამოვყოფთ ზმნურფუძიან ტოპონიმებს. კომპოზიტის ნაწილად ძირითადად გვხვდება წარსული დროის მიმღეობა: **არგუნიჯეტახერი** „ცული გამტყდარი“, მამაკივათი, ათინა; **ბურჭულმეჭა(რ)ელი / ბურჭულიმეკვათერი** „წალდი დაწერილი / მოჭრილი“, კვარიათი, გონიო [5, 41]; **კირიჭვერი** „კირი დამწვარი“, ბუჯალის სასაფლაო, ხოფა [5, 63]; **მანდრეჭვერი** „ბოსელი დამწვარი“, ჭამპეთი, ვიწე; **ქვატახერი** „ქვა გატეხილი“, კვარიათი, გონიო [5, 33]; **ქჩინგელალურერი** „დედაბერი მკვდარი“, ფილარგეთი, არქაბე; **ლეჯიდოლოქვაფერი** „ღორი გახრწნილი“, აბუულია, ვიწე; **წკარიოშუმონი**

„წყალი დასაღვეი“, მდინარე ვიწეში; ფუჯონჯე / ფუჯონჯერე „ძროხის საწოლი“, კვარიათი, გონიო [1, 131].

ყველა ტოპონიმში პოსტპოზიციური წყობაა. გამონაკლისს წარმოადგენს ფუჯონჯე / ფუჯონჯერე, რომელიც მართულმსაზღვრელიანია.

ლიტერატურა:

- ი. ასათიანი. ჭანური (ლაზური) ტექსტები. I. ხოფური კილოკავი. თბილისი. 1974.
- Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва, 1945
- Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб. 1910.
- ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
- ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977
- ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბ., 1982.
- პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2003
- პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, წალენჯიხის რაიონი, თბილისი, 2004
- პ. ცხადაია, ათასი მეგრული ტოპონიმი, თბილისი, 2005
- ქართველური ონომასტიკა, IV, თბილისი, 2010, გვ. 49-59
- Kartvelian Onomastics, IV, Tbilisi, 2010, p. 49-59